


# ბიძინა ივანიშვილისთვის პრემიერი არის უბრალო სათამაშო. ალიევთან შეხვედრის კადრებშიც კარგად გამოჩნდა, როგორ მისდევდა უკან!

დასაწყისი მე–5 გვერდზე

კადრებშიც კარგად გამოჩნდა ეს — როგორ მისდევდა **ირაკლი კობახიძე** ბიძინა ივანიშვილს უკან.

ზოგადად, „ქართულ ოცნებაში“ არავის აქვს რეიტინგი, თავად პარტიის რეალური რეიტინგი კი, სადღაც 10 პროცენტის ნიშნულზეა. ყველას გვყავს ნაცნობები, მეგობრები თუ მეზობლები — ქოცებიც და ნაცებიც, რომლებიც არასაჯარო საუბარში თავიანთ აზრს გამოხატავენ. **„ოცნების“ მხარდამჭერებში დღეს ირაკლი ღარიბაშვილს კობახიძეზე ბევრად მეტი რეიტინგი აქვს.** პირადად მე, არ მივიჩნევ, რომ **ირაკლი კობახიძე** ან ირაკლი ღარიბაშვილი რაიმე განსხვავებულ კურსს ატარებდნენ, **საქმე მათ პიროვნულ მახასიათებელშია. ღარიბაშვილი** უფრო პოზიციონერობდა და აღიქმებოდა, როგორც ჯიგარი კახელი კაცი. **კობახიძეს** რა სიტყვებითაც მოიხსენიებენ, ეს რომ ინტერვიუში ვთქვა, ნამდვილად უხერხული იქნება. მისი ნამდვილი სახე კარგად გამოჩნდა ალიევის ვიზიტის დროს. **შუა საუკუნეებში კარისკაცები უფრო თავმოყვარედ იქცეოდნენ, ვიდრე დღეს კობახიძე!**

ამგვარი ადამიანი სჭირდება **ივანიშვილს** გვერდით, რომ მართოს მაფიოზური კასტა, ამგვარი ადამიანების მეშვეობით ძარცვავს „ქართული ოცნება“ ხალხს, მათ შორის, ჯარიმების სახით. **მოგეხსენებათ, ჯარიმებიდან უზარმაზარი თანხა ამოდის, რომელსაც ამ ქვეყნის მეორეხარისხოვანი მოქალაქეები ვიხდით!**

**— განაწყენებული მხარდამჭერების გაზრდა ხომ ლოგიკურად არ ასხამს „ოცნების“ წისქვილზე წყალს?!**

— რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ წამყვან ოლიგარქს, **ბიძინა ივანიშვილთან** დაახლოებულ ბიზნესმენს შევხვდი. ვიდრე საქმეზე გადავიდოდით, ჩემი მოსაზრებები გამოვთქვი და, იცით, რა მითხრა? გეთანხმებით, რასაც ამბობ, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილი** ამას საერთოდ სხვა მხრიდან უყურებს — რაც გინდა პროტესტი იყოს, მისთვის პრობლემა არ არსებობს, რადგან წინასაარჩევნოდ ყველას ყიდვაა შესაძლებელი — პოლიტიკოსს ათიათასად იყიდი, ეპისკოპოსს — 20 ათასად, ჟურნალისტს — საერთოდ, 3 ათასადო! **მერე რა, რომ ხალხი ჯარიმებს აპროტესტებს, მათ არჩევნების წინ კოორდინატორების ხელით ჩამოურიგებენ ფულს და ყველაფერი მოგვარდებაო!**

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ქართველ ხალხს თანმიმდევრული ხასიათი არა აქვს. ითმენს, ითმენს და 10-15 წელიწადში ერთხელ აიყრის ტლინკებს.

როგორ გგონიათ, 2007 წლის 7 ნოემბერს ერთ დაძახილზე გამოვარდა ხალხი ქუჩაში?! აგრესია რეჟიმის წინააღმდეგ გროვდებოდა და უცებ იფეთქა სიტუაციამ ისე, რომ საერთოდ არავინ ელოდა. სხვათაშორის, **კობახიძე** და **ღარიბაშვილი** ამითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან — **ირაკლი ღარიბაშვილი** მუდმივად ეფერებოდა ხალხს, მის კაპრიზებს ასე თუ ისე ასრულებდა, ეუბნებოდა, თქვენთან ვარო, **კობახიძის** ყველა გამოსვლა კი შეურაცხყოფით, ზიზღით იწყება — **ნახევარი კილოგრამი ხორცი 10 ლარი ღირს, უბრალოდ, თქვენ არ იცით, სად იყიდებაო.**

## დღეს ისეთი ხალხი იწყევლება კობახიძის ამ ნათქვამზე, რომელსაც არც ევროკავშირი აინტერესებს, არც ნატო, არც ივანიშვილი და არც სააკაშვილი! ეს ადამიანი ნერვებს უშლის საქართველოს მოსახლეობას და ამით კიდევ უფრო აჩქარებს მასობრივი პროტესტის დღეს!

**თუ ხალხის პროტესტზე ღარიბაშვილი წყალს ასხამდა, კობახიძე ნავთს ასხამს!**

ივანიშვილის რეჟიმს კი არა, 9 აპრილს ჯოხს რუსულ ტანკსაც კი ურტყამდნენ. ქართველი კაცი რომ გამოვა წყობიდან, ცოლიც ავიწყდება, შვილიც, სახლიც, კარიც და სახელმწიფოც! **ადრე თუ გვიან დადგება დღე, როცა ხალხი იხუვლებს. თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მივმართავ მას — ნუ მიიყვანს საქმეს აქამდე!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***









## თემურ შაშიაშვილი:

# ვინც ამ ხელისუფლებას შეეწინააღმდეგება, ან ციხე ელოდება, ან - სიკვდილი!

***პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თეიმურაზ შაშიაშვილი ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ უმწვავეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ, ვინც ამ ხელისუფლებას შეეწინააღმდეგება, ან ციხე ელოდება, ან — სიკვდილი:***

— წინა ინტერვიუში თქვენ სათაურად გამოიტანეთ ჩემი მიმართვა ხელისუფლებისადმი — **„გადით ხალხში!“** არადა, ხელისუფლება, რომელიც არ ელაპარაკება საზოგადოებას და არ ეყრდნობა მეცნიერებას, უბრალოდ, უსუსურია. ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლით გაცილებით მეტს იგებ იმაზე, თუ რა მდგომარეობაა შენს სამშობლოში, ვიდრე იმ ტელევიზიების ყურებით, რომლებიც, თითქოსდა, ქვეყანას ემსახურებიან. მეცნიერთა კონგრესის, „ქართული ერთობის დარბაზისა“ და ფონდ „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ ძალისხმევით, მართლაც საჭირო საქმეები ვაკეთეთ, მაგრამ ტრაგედია ისაა, რომ არავის აინტერესებს სულიერებასთან, კულტურასთან, ხელოვნებასა და განათლებასთან დაკავშირებული საკითხები; არავინ კითხულობს, რა მდგომარეობაშია ჩვენი სიწმინდეები. **დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში ვიყავი მუხლმოდრეკილი ასტრახანში, ჩვენი ორი დიდი მეფის — ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის საფლავებთან.** მართალია, ასტრახანის კრემლი აღიარებულია დიდ მართლმადიდებლურ სიწმინდედ, მაგრამ საქართველოს ორი გამორჩეული მეფის — **ვახტანგ მეექვსისა** და **თეიმურაზ მეორის** საფლავები ცუდ დღეშია!

**— ქართველ მეფეთა საფლავები მოუვლელია?**

— ასტრახანში **ვახტანგ მეექვსე** და **თეიმურაზ მეორე** დასაფლავებული არიან სარდაფში... ან — გადმოვასვენოთ, ანდა — მივხედოთ! ადგილობრივები თვლიან, რომ საფლავები მოვლილია, მაგრამ გეუბნებით, რომ ხალხი ვერ ჩადის და მათ საფლავებს ვერავინ ნახულობს. თანაც, ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე სამჯერ გადაასვენეს.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი დაღესტანს უკავშირდება, სადაც **შამილის რაიონში დგას ქარ-**

## კვირგვინოსნები



**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

ტრაგედიაა, როცა სიკვდილიანობამ შობას გადააჭარბა. **ყოველწლიურად 50 000 კაცი ამ ქვეყნიდან გადის და უკან არ ბრუნდება.**

„ახალი თაობა“



**მიხეილ სააკაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, პატიმარი*

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს **ჩვენ პოლიტპატიმრები არ გვყოლია!**

„ახალი თაობა“

**თველების მიერ მე-9 საუკუნეში აშენებული დათუნას ეკლესია, რომელიც სამი საუკუნე მოქმედებდა.** ვისურვებდი, რომ ეს ადგილი ბევრ ქართველს ენახა, რათა ნათლად წარმოედგინა, ვისი შთამომავლები ვართ. სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე პატრონობს მას და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ქართული ეკლესიაა. ყოფილა პერიოდი, როცა მისი დანგრევა სურდათ. **შამილთან** რომ მისულან და უკითხავთ, ისლამურ სახელმწიფოში მართლმადიდებლური ეკლესია რად გვინდაო? — **შამილს** უპასუხია: **ქართველები ჩვენი ძმები არიან და ამ ეკლესიას არ შეეხოთო!**

უნიკალური ადგილია, ნამდვილი კოლიზეუმი გეგონება. ეზოში უამრავი ადამიანია დაკრძალული. საუკუნეებია, მათ საფლავებზე წითელი კვერცხი არ გადაგორებულა. უამრავი ტურისტი დადის ექსკურსიაზე უცხოეთიდან თუ რუსეთიდან; ყველაზე მეტი მნახველი სომხეთიდანაა, ყველაზე ნაკლები — საქართველოდან. **ჩვენ უფრო გვიადვილდება ამერიკაში, ჩინეთში ან ევროპაში წასვლა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში არ ჩავდივართ და ჩვენს ისტორიას, ჩვენს უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას არ ვსწავლობთ!**

**— სომხები იმიტომ ხომ არ დადიან დათუნას ეკლესიაში ხშირად, რომ ეკლესიაზე აცხადებენ პრეტენზიას?**

— დიახ, სომხები დათუნას ეკლესიას იჩემებენ, მაგრამ ეკლესია რომ ქართულია, ამაზე მათ გარდა, არავინ დავობს! დაღესტნელებიც აღიარებენ და ეკლესიას გარედანაც რუსულად აწერია, რომ ეს ქართველების მიერ მე-9 საუკუნეში აშენებული ეკლესიაა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო **ანვარბეკ კადიევის ოჯახს.** მისი შვილი დღესაც აგრძელებს მამის საქმეს და ძალიან გვეხმარებიან ამ ძეგლის შენარჩუნებასა და მოვლაში; **გვსურს, დათუნას ეკლესია იუნესკოს პატრონაჟის ქვეშ მოხვდეს.** საერთოდ, როცა ასეთ ადგილებში ხვდები, უნებლიეთ ფიქრობ: რა პოლიტიკა გვაქვს ჩვენ? სად არის ქართული სახელმწიფოს ყურადღება ჩვენი ისტორიის მიმართ?

დღეს ხელისუფლება გვეუბნება, რომ, თურმე, ეროვნულობა ევროპისა და ამერიკის ლანძღვაა! მაგრამ, როგორც კი **რუბიომ** დარეკა, მთელი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები ამერიკის ქება-დიდებაზე გადავიდნენ. **სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის რომელიღაც თანაშემწის მოადგილესთან შეხვედრას ზეიმობენ ადამიანები, რომლებიც გუშინ შეერთებულ შტატებს აგინებდნენ.** განა ეროვნულობა ისაა, რომ ჩვენი სიწმინდეები მიტოვებულია? **დავით აღმაშენებლის — 950, დიდგორის — 900 და შოთა რუსთაველის 850 წლისთავი სახელმწიფო დონეზე ვერ აღვნიშნეთ.** ეროვნულობაა კატასტროფული დემოგრაფია და ხალხის მასობრივი გადინება ქვეყნიდან? ჩეჩნები, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიან, მიყვებიან, რომ უამრავი ქართველი მათთან მუშაობს.

## ინგუშეთში ერთ-ერთმა მასპინძელმა მითხრა, რომ სახლის მშენებლობასა და მოპირკეთებაში ქართველები ეხმარებოდნენ და, მათ შორის, სამი მეცნიერებათა კანდიდატი იყო!

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ — უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძის მოულოდნელ და საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებაზე რატომ დუმს ხელისუფლება?**

— **ლაზარე ჯორბენაძის** მიერ გაჟღერებულ საკითხზე **პრემიერ-მინისტრის კომენტარმა** კიდევ უფრო განმიმტკიცა ეჭვი, რომ დავითგარეჯში მართლაც ცუდად არის საქმე! ერთი რამ ფაქტია: **ვინც ამ ხელისუფლებას შეეწინააღმდეგება, ან ციხე ელოდება, ან — სიკვდილი!** რეალობა ასეთია — თუ მმართველი გუნდისკენ ხარ, წინ მიდიხარ; თუ საკუთარი, განსხვავებული პოზიცია გაქვს, რთული გზა გელოდება და მზად უნდა იყო თავის გასაწირად. **ლაზარე ჯორბენაძე** საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. თავად სახელმწიფო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ობიექტური ექსპერტიზით, რათა სიმართლე დაედგინა, მაგრამ, როცა ამას არ აკეთებენ, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მას სიკვდილში „დაეხმარნენ“!

სიმართლე ისაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სიყალბეში, კორუფციასა და ნეპოტიზმში. მაგალითად, დღეს ხელისუფლება გვარწმუნებს, თითქოს საქართველოს გარეთ ეკონომიკა ინგრევა და ფასები ყველგან იზრდება. მოდით, **ავდგეთ და ჩავიდეთ ვლადიკავკაზში, ვნახოთ ის ადგილები, სადაც პატრიარქი დაიბადა და მოინათლა. ვნახოთ შენარჩუნებული ქართული სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულის მასწავლებლები ჩვენ ვერ გავუშვით იქ.** ჩრდილოეთელმა ოსებმა შეინარჩუნეს რუსთაველის ქუჩა, ბარელიეფები, ქართული წარწერები — ეს ყველაფერი მოვლილია. ვლადიკავკაზის სუპერმარკეტებში იყიდება უმაღლესი ხარისხის ორგანული პროდუქტები, რომელთა 80-90 პროცენტი ადგილობრივი წარმოებისაა. **იქ პირდაპირ მაღაზიაში შეგიძლია, შეამოწმო პროდუქტის სისუფთავე. მსგავსი სუპერმარკეტი იშვიათად მინახავს ევროპასა და ამერიკაშიც კი.** რას დავარქვათ ეროვნულობა? იმას, რომ საქართველოში გაყიდული ხორცისა და პროდუქტების 80 პროცენტი თურქული, ირანული, ბრაზილიური და ინდურია?!

**— ფასებზე რას იტყვით, გაიაფდება პროდუქტები?**

— საქართველოში, სადაც სრული კორუფცია და ნეპოტიზმია, ფასები არასოდეს დაიწევს. ხომ ხედავთ, კორუფციამ წალეკა ქვეყანა — ერთი კორუფციული კლანი შეცვალა მეორემ და ამას ჩვენი მოსახლეობა კორუფციასთან ბრძოლას ეძახის. თანაც,

## ვინც კორუფციაში დაადანაშაულეს და ციხეში ზის, ჩემი ანალიზით, ბევრად ნაკლებად კორუმპირებული იყო, ვიდრე ისინი, ვინც დღეს თანამდებობებზე სხედან!

ეს ბრძოლა კი არა, ლოიალობის ტესტია — თუ ლოიალური ხარ ხელისუფლების მიმართ, იქნები თანამდებობაზე, თუ არადა, ან — ციხე, ან ქვეყნიდან გაქცევა გელის. საგადასახადო სისტემა, რომელიც **სააკაშვილმა** დატოვა და **ივანიშვილმა** არ შეცვალა, კატასტროფულია. მილიარდერებს და დიდ გადამხდელებს ეს სისტემა ვერ ეხება. ამიტომ ფულს იღებენ აქციზით, ანუ პირდაპირ ღარიბი მოსახლეობის ჯიბიდან!

რომელ კონკურენციასა და ფასების დაწევაზეა საუბარი, როდესაც წამლის, ხორბლისა თუ ხორცის ყველა მსხვილი შემომტანი პარლამენტში ზის?! უფრო მეტიც, ჩვენ, ალბათ, ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ბიუჯეტი სრულად პოლიტიზებულია და მმართველ ძალას ემსახურება.

ამ დღეებში წყალტუბოში ვიმყოფებოდი, სადაც თეატრმა **ოტია იოსელიანის** მიხედვით შესანიშნავი სპექტაკლი დადგა. უდიდესი სიამოვნება მივიღე საზოგადოებასთან, მწერლებთან შეხვედრით. არადა, თურმე, გაუფრთხილებიათ ორგანიზატორები — **შაშიაშვილი არ მოიწვიოთო!** ამ ხალხს მართლა ჰგონია, რომ, რადგან მერიიდან ფინანსდება ღონისძიება, ეს ფული მათი საკუთრებაა. დაბოლოს, სოფელ კობთან, მთავარ გზაზე, ამოთხრილია ორმო, რომელსაც ცუდ ამინდში საერთოდ ვერ შეამჩნევ. ასტრახანიდან რომ ვბრუნდებოდით, ღამით ისე ჩავარტყით მანქანა, რომ ორივე საბურავი გასკდა. პოლიციას დავურეკეთ... ადგილობრივმა ავტოინსპექტორებმა გვითხრეს — მარტო თქვენ არ ხართ ამ დღეში, მხოლოდ ამ საღამოს ოთხ მანქანას გაუსკდა საბურავიო! თურმე, ეს ორმო თვეებია, ასეა და 30-40 მანქანა უკვე დააზიანა. ასე ნადგურდება და წამდება ხალხი მაშინ, როცა საგზაო ინფრასტრუქტურა სახელმწიფოს ფულით ფინანსდება. **ესაა ეროვნული ქვეყანა? არა მგონია!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***










## „პრემიერ-მინისტრის კომენტარმა კიდევ უფრო განმიმტკიცა ეჭვი, რომ დავით-გარეჯში მართლაც ცუდად არის საქმე!“



**ირაკლი კობახიძე:** რაც შეეხება გარეჯის თემას, გეტყვით, რომ ცვლილება არ გვაქვს. რაც შეეხება სხვა განცხადებებს, **საჯაროდ არ გავაკეთებ.** ცვლილება, ამ ეტაპზე, არ გვაქვს, ეს შემიძლია დაგიდასტუროთ. ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ ცვლილება არ გვაქვს, **დანარჩენზე განცხადებებს არ გავაკეთებ. შეიძლება ვისაუბრეთ, შეიძლება არ გვისაუბრია, ამაზე საჯარო განცხადებებს არ გავაკეთებთ.**

## კვირგვინოსნები

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**მიშას ულალატეს, მომენტალურად დაიჭირეს და მას შემდეგ ციხეშია, სხვადასხვა პირობებში.** მას სცემდნენ კიდეც, ძვლებს ამტვრევდნენ, მოწამლეს, სასწაულებრივად გადარჩა და მერე უკვე კლინიკაში იყო.

„TV იმედი“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*ანალიტიკოსი*



**ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებული ხალხია და მათი ყოველდღიური ცხოვრება მკვეთრად განსხვავდება რიგითი მოქალაქის ყოფისგან:** მათი შვილები არ სწავლობენ იმ სკოლებში, სადაც ჩვენი შვილები; ისინი არ მკურნალობენ იმ ტიპის კლინიკებში, სადაც ჩვენ; სარგებლობენ განსხვავებული სადაზღვევო პირობებით და დასასვენებლადაც ისეთ ადგილებში დადიან, როგორსაც სტატისტიკური ქართველი ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენს. **ისინი სხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან და ხშირად უფრო მეტი საერთო აქვთ მმართველი გუნდის წევრებთან, ვიდრე რიგით მოქალაქეებთან.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ლორთქიფანიძე**
*მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“*



ნაცები იჭერდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ და შემჩნეული იყვნენ საზოგადოებისადმი არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში, **დღევანდელი ოპოზიცია კი ამ გზის გამგრძელებელია!**

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი*



**ოპოზიცია** საერთოდ არ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს **ხელისუფლებაში რომ მოვა, გარდა იმისა, რომ ივანიშვილს ჩამოახრჩობს.**

„თბილისელები“